12.08.2014

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის სასწრაფო მიმართვა აზერბაიჯანში უფლებადამცველების დევნისა და დაპატიმრების შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები შეშფოთებული ვართ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული უპრეცედენტო სადამსჯელო ღონისძიებების გამო. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, თითქმის მსგავსი ბრალდებებით (გადასახადების თავიდან არიდება, უკანონო ბიზნესი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ასევე სამშობლოს ღალატი) 4 უფლებადამცველი დააკავეს, რომლებიც გამოირჩეოდნენ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკით.

2014 წლის მაისიდან აზერბაიჯანი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს თავმჯდომარეობს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მთავრობა არ ერიდება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ რეპრესიების განხორციელებას და არღვევს ევროკონვენციითა თუ სხვა საერთაშორისო კანონმდებლობით აღებულ ვალდებულებებს.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ვგმობთ ცნობილი უფლებადამცველების - რასულ ჯაფაროვის, ინტიგამ ალიევის, ლეილა იუნუსისა და არიფ იუნუსოვის დევნასა და დაპატიმრებას და **მოვუწოდებთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას,** შეწყვიტოს მიმდინარე რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე; დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს უკანონო პატიმრობაში მყოფი უფებადამცველები; დაასრულოს უფლებადამცველების დევნა და შევიწროება აზერბაიჯანში და უზრუნველყოს მათი ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელება ყოველგვარი დაბრკოლების, დაშინებისა და რეპრესიების გარეშე.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები, მოვუწოდებთ ევროპის საბჭოს და მინისტრთა კომიტეტის წევრებს, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ პატივი სცეს და შეასრულოს როგორც ევროკონვენციით, ასევე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ასევე შეშფოთებულები არიან საქართველოში აზერბაიჯანის მოქალაქის, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის, „მუსავატის“ წევრის, **დაშგინ აღარარლის** დაკავებისა და აზერბაიჯანში მისი მოსალოდნელი ექსტრადიციის გამო. **მოვუწოდებთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, სოზარ სუბარს** შეაფასოს საშიშროება, რაც არსებობს აზერბაიჯანში მისი უსაფრთხოების და სიცოცხლის დაცვის კუთხით, გაანალიზოს აზერბაიჯანში არსებული მძიმე სიტუაცია ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის პოლიტიკური თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

თბილისისადამიანისუფლებათასახლისშესახებ
თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; კავშირი საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; მედიის ინსტიტუტი; წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT).

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, მელიტონ ქანთარიას ქ. № 11ა. ტელ.: (+995 322) 30 77 66; (+995 790) 76 06 90;
ელ–ფოსტა:tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org

ინფორმაციისათვის:

- **რასულ ჯაფაროვი** არის პოლიტიკური პატიმრების უფლებების აქტიური დამცველი 2006 წლიდან და კამპანიების - „იმღერე დემოკრატიისათვის“ (2012 წელს ბაქოში ჩატარებული ევროვიზიის გამო) და „ხელოვნება დემოკრატიისათვის“ აქტიური მონაწილე, ასევე „ადამიანის უფლებების კლუბის“ დამფუძნებელი და ა/ო „იურიდიული დაცვისა და ცნობიერების საზოგადოებ“-ის თავმჯდომარე. **რასულ ჯაფაროვი** 2014 წლის 2 აგვისტოს დაიკითხა აზერბაიჯანის მთავარი პროკურატურის მძიმე დანაშაულებათა საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ, ისეთ ბრალდებებთან დაკავშირებით, როგორიც არის გადასახადების თავიდან არიდება, უკანონო ბიზნესი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე, 192-ე და 308.2-ე მუხლები).
  იმავე დღეს, ნასიმის რაიონულმა სასამართლომ ბატონ ჯაფაროვს შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით. მანამდე, 2014 წლის 25 ივლისს, მას აეკრძალა ქვეყნის დატოვება, მას შემდეგ, რაც ანგარიში წარადგინა აზერბაიჯანის პოლიტიკური პატიმრების შესახებ სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) 2014 წლის ივნისში. 2014 წლის 29 ივლისს, აზერბაიჯანის ბეიუკ-კიასიკის სასაზღვრე პუნქტიდან მას ქვეყნის დატოვების უფლება არ მისცეს.

- 2014 წლის 30 ივლისს პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს ქ-ნი **ლეილა იუნუსი,** მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტის (IPD) დირექტორი და წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციის (OMCT) გენერალური ასამბლეის წევრი. მას მიუსაჯეს სამი თვით წინასაწარი პატიმრობა შემდეგი ბრალდებებით: სახელმწიფო ღალატი (სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი), თაღლითობა დიდი ოდენობით (178.3.2. მუხლი), ყალბი დოკუმენტის დამზადება (320-ე მუხლი), გადასახადისაგან თავის არიდება (213-ე მუხლი) და უკანონო ბიზნესი (192-ე მუხლი).

- ბრალდება წაუყენეს ასევე მის მეუღლეს, **ბ-ნ არიფ იუნუსოვს,** მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტიის კონფლიქტოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო ღალატისა და ყალბი დოკუმენტის დამზადებასთან დაკავშირებით. თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი თავიდანვე არ დაუკავებიათ. სამართალდამცავებმა მოგვიანებით, 2014 წლის 5 აგვისტოს ბატონი იუნუსოვიც დააკავეს. სასამართლომ მასაც სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

- 2014 წლის 8 აგვისტოს დააკავეს იურიდიული განათლების საზოგადოების (LES) ხელმძღვანელი **ბ-ნი ინტიგამ ალიევი.** იქამდე კი პროკურატურამ განახორციელა როგორც მისი სახლის, ასევე, ორგანიზაციის ოფისის ჩხრეკა, რასაც წინ უძღოდა, ბ-ნი ალიევის მძიმე დანაშაულებათა საგამოძიებო დეპარტამენტისა და აგენერალური პროკურატურის მიერ მოწმედ დაკითხვაზე გამოძახება. 8 აგვისტოს ნასიმის რაიონულმა სასამართლომ ინტიგამ ალიევს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა გადასახადების თავიდან არიდების, უკანონო ბიზნესის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით (აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე, 192-ე და 308.2-ე მუხლები).

თბილისისადამიანისუფლებათასახლისშესახებ
თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; კავშირი საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; მედიის ინსტიტუტი; წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT).

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, მელიტონ ქანთარიას ქ. № 11ა. ტელ.: (+995 322) 30 77 66; (+995 790) 76 06 90;
ელ–ფოსტა:tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org

- აღნიშნული უფლებადამცველების მიმართ წაყენებული ბრალდებები იგივეა, რაც თავის დროზე წაუყენეს ბატონ **ანარ მამადლის** - საარჩევნო მონიტორინგისა და დემოკრატიის სწავლების ცენტრის (EMDSC) თავმჯდომარესა და ბატონ **ბაშირ სულეიმანს,** EMDSC-ის აღმასრულებელ დირექტორს. ორივე მათგანი დამნაშავედ სცნო სასამართლომ გადასახადების თავიდან არიდების, უკანონო ბიზნესისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დანაშაულებში, შესაბამისად, 5.5 და 3.5 წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 2014 წლის 26 მაისს.

- ამას გარდა, 8 აგვისტოს პოლიციამ გადაკეტა და შემდგომ გაჩხრიკა „რეპორტიოთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის“ (IRFS) ოფისი და მოახდინა არჭურვილობისა და დოკუმენტების კონფისკაცია. იქამდე კი, 5 აგვისტოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს **ემინ ჰუსეინოვს** აზერბაიჯანის მესაზღვრეებმა არ მისცეს უფლება დაეტოვებინა ქვეყანა და გადასულიყო თურქეთში სამედიცინო მკურნალობის ჩატარების მიზნით. 8 აგვისტოს ემინ ჰუსეინოვმა მიიღო სასამართლო დადგენილება იმის შესახებ, რომ უნდა გამოცხადდეს პროკურატურაში დაკითხვაზე. შესაბამისად, დიდია იმის საფრთხე, რომ ემინ ჰუსეინოვი დააკავონ ნებისმიერ წუთს.

- **დაშგინ აღარარლი** 2014 წლის მარტში თურქეთ-საქართველოს საზღვარზე დააკავეს. მან საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა. დაშგინ აღარარლი არის ოპოზიციური პარტია „მუსავათის“ აქტიური წევრი, ხშირად მონაწილეობდა აზერბაიჯანში გამართულ მიტინგებსა და მანიფესტაციებში, მედიის საშუალებით აკრიტიკებდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას და გამოხატავდა პროტესტს ადამიანის უფლებების დარღვევების თაობაზე. ამ აქტიურობისათვის იგი იდევნებოდა აზერბაიჯანის მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიერ, რის გამოც მას მოუხდა აზერბაიჯანის დატოვება. დაშგინ აღარარლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიმართ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ წარდგენილი ბრალი გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების თაობაზე, არის პოლიტიკურად მოტივირებული და არ ემყარება მტკიცებულებებს. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ვთვლით, რომ დაშგინ აღარარლის უნდა მიენიჭოს პოლიტიკური თავშესაფარი და ლტოლვილის სტატუსი; იგი არ უნდა გადაეცეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება კვლავ გახდეს პოლიტიკური დევნის მსხვერპლი აზერბაიჯანში.

მიმართვას ხელს აწერს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და წევრი ორგანიზაციები:

- ადამიანის უფლებათა ცენტრი;
- ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია;
- კავშირი საფარი;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- მედიის ინსტიტუტი;
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT).

თბილისისადამიანისუფლებათასახლისშესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; კავშირი საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; მედიის ინსტიტუტი; წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT).

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, მელიტონ ქანთარიას ქ. № 11ა. ტელ.: (+995 322) 30 77 66; (+995 790) 76 06 90;
ელ–ფოსტა:tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org